

TECH OLYMPIAD HUB OF GEORGIA

TOHG



პარტნიორობის შეთავაზება

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU) საქართველოს ტექ ოლიმპიადების ჰაბი დაფუძნდა, რომელიც ქვეყანაში ყველაზე მასშტაბურ, ახლადშექმნილ პლატფორმას წარმოადგენს. ჰაბის მთავარი მიზანია ეროვნული ჩემპიონატების ორგანიზება, ნიჭიერი მოსწავლეების შერჩევა და მათი საერთაშორისო ასპარეზისთვის მომზადება.

პლატფორმა უზრუნველყოფს ეროვნული ნაკრებების ფორმირებას, წვრთნასა და მხარდაჭერას ევროპის, მსოფლიოსა და საქართველოს ინფორმატიკის ოლიმპიადებზე, რათა საქართველო ტექნოლოგიურ სფეროში ღირსეულად წარმოჩინდეს და საუკეთესო საოლიმპიადო შედეგები დააფიქსიროს.

საქართველოში ინფორმატიკის საოლიმპიადო აქტივობები 1980-იანი წლების ბოლოდან იწყება. წლების განმავლობაში, საქართველოს მონაწილეობა მსოფლიოს წამყვან ოლიმპიადებში არაერთხელ დასრულებულა გამორჩეული შედეგებით — ქართველი ახალგაზრდები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები ხდებოდნენ, აგრძელებდნენ სწავლას მსოფლიოს საუკეთესო რეიტინგის მქონე უნივერსიტეტებში, იწყებდნენ თანამშრომლობას წამყვან ტექნოლოგიურ კომპანიებთან და ქმნიდნენ წარმატებულ სტარტაპებს.

საქართველოს მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე

სულ ჯამში:

- 11 ოქროს მედალი;
- 21 ვერცხლის მედალი;
- 65+ ბრინჯაოს მედალი.

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობა EJOI-ში

ეს შედეგები აძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო STEM პოზიციონირებას საქართველოში.



ტექ ოლიმპიადების ჰაბი უზრუნველყოფს საქართველოში მოსწავლეთა ოლიმპიადების ჩატარებას, ეროვნული ნაკრებების მომზადებას საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ოლიმპიადებია:



**ევროპის
ასალგაზრდული
ოლიმპიადა**

სამიზნე: 16 წლამდე მოსწავლეები;

შედეგები: 2 ოქრო, 4 ვერცხლი, 20 ბრინჯაო;

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობა — ნიკოლოზ ბირკაძე.

გამორჩეული წარმატების ისტორიები:

საქართველოს მონაწილეები დღეს სწავლობენ MIT, Carnegie Mellon, Vanderbilt, NYU Abu Dhabi, NUS და სხვა წამყვან უნივერსიტეტებში.

რეგისტრაციის დაწყება: 2026 წლის აპრილიდან.



**ევროპის
გოგოების
ოლიმპიადა**

სამიზნე: 13 - 18 წლამდე გოგოები;

ტარდება 2021 წლიდან, მონაწილეობს 50+ ქვეყანა;

შედეგები: 2 ოქრო, 4 ვერცხლი, 2 ბრინჯაო;

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობა — ნიკოლოზ ბირკაძე.

გამორჩეული წარმატების ისტორიები:

ქეთევან ციმაკურიძე — ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (MIT)

რეგისტრაციის დაწყება: 2026 წლის თებერვლიდან.



**სრულიად საქართველოს
მოსწავლეთა ოლიმპიადა
ინფორმატიკაში**

სამიზნე: ეროვნული კონკურსი 9 - 18 წლამდე მოსწავლეებისთვის;
წლიურად 3000-მდე მოსწავლე რეგისტრირდება.

შედეგები: დაარსების დღიდან ჭამური რაოდენობა აღნიშნულ ოლიმპიადაზე დარეგისტრირებული მოსწავლეების - 493 250.

გამორჩეული წარმატების ისტორიები: ოლიმპიადა ავლენს ახალ ნიჭს, განსაკუთრებით რეგიონებიდან, და წარმოადგენს ეროვნულ ეტაპს საერთაშორისო ნაკრებებში გადასასვლელად.

რეგისტრაციის დაწყება: 2026 წლის იანვარიდან.



**ხელოვნური ინტელექტის
საერთაშორისო
ოლიმპიადა**

სამიზნე: 9-12 კლასის მოსწავლეები;

წლიურად 3000-მდე მოსწავლე რეგისტრირდება.

IOAI ჩატარების ადგილი: აბუ დაბი, 2-8 აგვისტო, 2026;

ეროვნულ AI ოლიმპიადაზე, რომელიც GAIA-ს ორგანიზები ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან პარტნიორობით და თიბისის მხარდაჭერით ტარდება, შეირჩევა საქართველოს ეროვნული ნაკრები IOAI - ზე გასამგზავრებლად.

რეგისტრაციის დაწყება: 2026 წლის იანვარიდან.



**ინფორმატიკის
მსოფლიო
ოლიმპიადა**

ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადისთვის (IOI) საქართველოს ტექ ოლიმპიადების ჰაბი უზრუნველყოფს ზამთრის ბანაკის ორგანიზებას და ჩართული იქნება ეროვნული ნაკრების ოლიმპიადაზე ასპარეზობამდე საჭირო მომზადების პროცესში.

სამიზნე: 13 - 18 წლამდე მოსწავლეები;

შედეგები: 7 ოქრო, 13 ვერცხლი, 43 ბრინჯაო, 2 საპატიო დიპლომი.

გამორჩეული წარმატების ისტორიები:

ნიკოლოზ ბირკაძე IOI-ის „Hall of Fame“-შია, ხოლო ქართველი ოლიმპიადელები დღეს მუშაობენ Google, Meta, Microsoft, Palantir, Waymo, Dropbox და სხვა გლობალურ კომპანიებში.



აპრილი:
რეგისტრაცია

მაისი:
შესარჩევი ტური

ივნისი:
ერთთვიანი
მოსამზადებელი კურსი

აგვისტო:
საერთაშორისო
ოლიმპიადა.



მარტი:
რეგისტრაცია

აპრილი-1/2:
შესარჩევი ტური

აპრილი-2/2 - მაისი 1/2
მოსამზადებელი
ერთიანი კურსი

12-18 მაისი:
საერთაშორისო
ოლიმპიადა.



მაისი:
რეგისტრაცია
და ერთთვიანი
მოსამზადებელი
ტრენინგები

აგვისტო:
საერთაშორისო
ოლიმპიადა.



იანვარი:
რეგისტრაცია

თებერვალი:
ონლაინ ტური

მარტი:
დასკვნითი ტური



სექტემბერი: რეგისტრაცია

ოქტომბერი - მაისი:
AI კურსები ჩაუტარდებათ
დარეგისტრირებულ
მოსწავლეებს

მაისი:
ორ ეტაპიანი ეროვნული
ოლიმპიადა და ნაკრების
დაკომპლექტება.

ივნისი - ივლისი:
ნაკრების ინტენსიური
მომზადება.

აგვისტო: საერთაშორისო
ოლიმპიადა.



BTU და საქართველოს ტექნოლოგიური ოლიმპიადების ჰაბი

- უზრუნველყოფილია 10,000 კვ.მ-ზე მეტი სპეციალურად გამოყოფილი სივრცე;
- ტექნიკური ინფრასტრუქტურა და კომპიუტერული ლაბორატორიები – ოლიმპიადების ყველა ეტაპის მხარდასაჭერად;
- საქართველოს საინფორმაციო ოლიმპიადების ჰაბის მენეჯმენტი და ადმინისტრირება, მათ შორის ეროვნული გუნდებისთვის ყოველწლიური ბანაკებისა და სასწავლო სესიების ორგანიზება და ლოჯისტიკა;
- დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაცია და ჩართულობა, მათ შორის მედია პარტნიორებთან;
- საკომუნიკაციო და მარკეტინგული კამპანიების განხორციელება.



საქართველოს ტექ ოლიმპიადის ჰაბის პარტნიორები

საქართველოს ტექ ოლიმპიადების ჰაბი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) ინიციატივით და თიბისი ბანკის მხარდაჭრით დაფუძნდა. პროექტის პარტნიორები არიან: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაცია (GAIA), ICT ასოციაცია, ლინეტი, ეპამი და დეველოპერული კომპანია ბლოქსი.

გარდა ამისა, საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაციის ორგანიზებით (GAIA), ყოველწლიურად ტარდება ეროვნული AI ოლიმპიადა, მისი მიზანი AI-ის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრების შერჩევაა. ოლიმპიადა ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან პარტნიორობით და თიბისის გენერალური მხარდაჭერით ტარდება.

პროექტი ხელს შეუწყობს ტექნოლოგიების სფეროში ნიჭიერი ახალგაზრდების განვითარებას, საერთაშორისო გამოცდილების მიღებას, ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას საქართველოში და საერთაშორისო მასშტაბით წარმოაჩენს საქართველოს ტექნოლოგიური განათლების პოტენციალს.



მარკეტინგული კომუნიკაციის პაკეტი პარტნიორებისთვის

- პრეზენტაცია – ჰაბის წარდგენა;
- თითოეული ოლიმპიადის ანონსი | რეგისტრაციების დაწყება;
- ტრენინგები / ლაივები;
- საინფორმაციო შეხვედრების ანონსები | ლაივები;
- თითოეული ოლიმპიადის რეგისტრირებულთა რაოდენობა;
- თითოეული ოლიმპიადის გეოგრაფიული გავრცელება;
- გოგოების მონაწილეობა რაოდენობები;
- რამდენმა რა ეტაპამდე მიაღწია - ტურები;
- თითოეული ოლიმპიადის ფინალისტების რაოდენობა | ვინაობა;
- შედეგები/ლაივები;
- პარტნიორებთან დაკავშირებული კონტენტი;
- წარმატებული ყოფილი მონაწილეების ისტორიები.

სტატიები - ონლაინ და ბეჭდური მედია (თბილისი და რეგიონალური)

- | | | |
|------------|---------------|--|
| • Edu.aris | • Marao | • Facebook - პოსტები რილსები სთორები |
| • Marketer | • თავისუფლება | • Instagram - პოსტები რილსები სთორები |
| • IPN | • Marketer | • TikTok - ვიდეოები |
| • Ambebi | • Dev | • LinkedIn – სტატიები, პოსტები |
| • Bpn | • Mshoblebi | • ფოტო მასალა |
| • პუბლიკა | • On | |
| • Forbes | | |

ტელევიზიები - ნიუსები/სტუმრები

- | | |
|-----------------------------|--------------|
| • საზოგადოებრივი მაუწყებელი | • ფორმულა |
| • რუსთავი 2 | • აჭარა ტვ |
| • იმედი | • გურია ტვ |
| • პალიტრა | • არტარეა ტვ |
| • ტვ პირველი | |

საქართველოს ტექნოლოგიების ჰაბის მხარდაჭერის მნიშვნელობა

საქართველოს ტექნოლოგიების ჰაბის მხარდაჭერა კერძო სექტორის მხრიდან პირდაპირ აძლიერებს ქვეყნის STEM შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ტექნოლოგიურად განათლებული მომავალი თაობის ჩამოყალიბებას და ზრდის საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას ინოვაციურ ეკოსისტემაში.

ინიციატივაში ჩართვით კომპანიები მონაწილეობენ ნიჭიერი ახალგაზრდების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენასა და განვითარებაში, აძლიერებენ ქალების ჩართულობას ტექნოლოგიებში და ქმნიან მაღალი ღირებულების CSR-ს — განათლების, ინოვაციისა და რეგიონული ახალგაზრდების მხარდაჭერის მიმართულებით.

ჰაბის მხარდაჭერა კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას:

- წარმოაჩინონ საკუთარი ბრენდი, როგორც განათლებისა და ინოვაციის მხარდამჭერი;
- მიიღონ აქტიური როლი მომავალი შრომის ბაზრის ფორმირებაში;
- გააძლიერონ ორგანიზაციული ღირებულებები და გრძელვადიანი სოციალური გავლენა;
- ხელი შეუწყონ საქართველოს პოზიციონირებას საერთაშორისო ტექნოლოგიურ სივრცეში.

TOHG



TECH OLYMPIAD HUB OF
GEORGIA

TECH OLYMPIAD HUB OF
GEORGIA

საქართველოს ტექნოლოგიური ოლიგოპოლის ჰაბი

სასპონსორო შეთავაზება

Premium Partner – 15,000\$

„საქართველოს ტექნოლოგიური ოლიგოპოლის ჰაბის პრემიუმ მხარდამჭერი“

საკომუნიკაციო და მედიაპოზიციონირება:

- კომპანიის ლოგოს განთავსება ჰაბის მთავარი პარტნიორების ზოლში
- გამოჩენა ყველა ოფიციალურ საკომუნიკაციო მასალაზე
- მედია სტუმრობა: ჰაბის ღონისძიებებზე სტუმრობა პრესასთან ერთად
- კომპანიის წარმომადგენლის ციტატა/მუსიჯი საინფორმაციო არხებში
- სპეციალური ციფრული პოსტები — „ჰაბის პრემიუმ მხარდამჭერი“
- ცალკეული პარტნიორული კონტენტი სოციალურ მედიაში (ვიდეო/ჰაილაიტი)

ღონისძიებებში მონაწილეობა:

- სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა გახსნის/დახურვის ღონისძიებებზე
- ბრენდის მასალების განთავსება ბანაკებსა და შერჩევით ტურებზე

დაფარვა:

- კომპანიის სრულ ციფრულ + სატელევიზიო + ონლაინ მედია მხარდაჭერაში ინტეგრაცია
- ბრენდის პოზიციონირება როგორც ახალგაზრდების ტექნოლოგიური განათლების სტრატეგიული მხარდამჭერის

Support Partner – 10,000\$

„საქართველოს ტექნოლოგიური ოლიგოპოლის ჰაბის მხარდამჭერი“

საკომუნიკაციო და მედიაპოზიციონირება:

- კომპანიის ლოგოს და ბრენდის პოზიციონირება ჰაბის ოფიციალურ არხებში
- ლოგოს გამოჩენა პოსტერებზე, ბანერებზე, ვიდეოსა და მედია მასალებზე
- მხარდამჭერის სტატუსის ხსენება პრესრელიზებში

ღონისძიებებში მონაწილეობა:

- ბრენდის მასალების განთავსების უფლება შერჩევით ტურნირებსა და ბანაკებზე

დაფარვა:

- ბრენდის ინტეგრაცია ჰაბის საკომუნიკაციო კამპანიაში
- ციფრული არხების მხარდაჭერა: Facebook, Instagram, TikTok, LinkedIn

Gift Partner – სასაჩუქრე პაკეტი

„ეროვნული ნაკრების მეგობარი კომპანიები“

პაკეტი მოიცავს:

ეროვნული ნაკრების წევრებისა და გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოებას სპეციალური ნივთებით (ტექ აქსესუარები, ბანაკისთვის საჭირო ინვენტარი, ტექნოლოგიური მიმართულების ვაუჩერები და ა.შ.).

დასაჯილდოებელი მონაწილეები:

- ევროპის გოგოების ოლიმპიადა (EGOI) – 4 წევრი
- ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა (EJOI) – 4 წევრი
- ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადა (IOI) – 4 წევრი
- ხელოვნური ინტელექტის საერთაშორისო ოლიმპიადა (IOAI) – 4 წევრი
- სრულიად საქართველოს ეროვნული ოლიმპიადა (OLYINFO) – 50 საუკეთესო მოსწავლე

მონაწილეების ჯამური რაოდენობა: 66

პოზიციონირება:

- ციფრული მადლობის პოსტი
- ნაკრების წარდგენის ღონისძიების ფარგლებში
პოზიციონირება – „ეროვნული ნაკრების მხარდამჭერი“
- ბრენდის ნახსენები დაჯილდოების ვიდეო/ფოტო ჰაილაიტში
- ზოგად საკომუნიკაციო მასალებში ლოგოს პოზიციონირება





საკონტაქტო ინფორმაცია

✉ olympiadhub@btu.edu.ge